FREE NETWORK FROGEE

POLICY BRIEF SERIES

პამელა კამპა, SITE
მიხალ მიკი, CenEA
მონიკა ოჩკოვსკა, CenEA
მარია პეროტა, ბერლინი, SITE
იესპერ როინი, SITE
მარტი, 2024

მონაცემებთან დაკავშირებული გენდერული სხვაობის აღმოფხვრა

განვითარებადი სოციალური ფენომენების სიღრმისეულად შესწავლისა და არსებული თუ პოტენციური პრობლემების გადაჭრის ეფექტური პოლიტიკის შემუშავების პროცესში ხელმისაწვდომი მონაცემების ხარისხს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ეს განსაკუთრებით ეხება მონაცემების გენდერულ ასპექტს, რადგან მონაცემებში არსებული „გენდერული სხვაობა“ საკმაოდ დიდია. ბოლო ათწლეულების განმავლობაში არქივებიდან, მაღალი ხარისხის გამოკითხვებისა და მოსახლეობის აღწერისა თუ ადმინისტრაციული მონაცემებიდან აღებული ინფორმაცია, მონაცემთა ანალიზისა და იდენტიფიკაციის ინოვაციურ მიდგომებთან ერთად, გადამწყვეტი გახდა სტრუქტურული გენდერული განსხვავებების გამოსავლენად. თუმცა, სანამ შრომის ბაზარზე, ოჯახში, პოლიტიკაში, აკადემიურ სექტორსა თუ სხვა სფეროებში გენდერული სხვაობის აღმოფხვრას მოვახერხებდეთ, მკვლევრებმა და პოლიტიკის შემქმნელებმა მონაცემებში გენდერული სხვაობის პრობლემის გადაჭრაზ უნდა იზრუნონ.

შესავალი

სოციალური ფენომენების სიღრმისეულად შესწავლის პროცესში ნებისმიერი პროგრესი დამოკიდებულია მონაცემთა ხელმისაწვდომობაზე. ეჭვგარეშეა, რომ ბოლოდროინდელი მიღწევები ეკონომიკასა თუ სხვა სოციალურ მეცნიერებებში შეუძლებელი იქნებოდა ხარისხიანი მონაცემების არარსებობის პირობებში. ეს, როგორც აღნიშნულ პოლიტიკის მიმოხილვაშია აღნიშნული, ეხება, და შესაძლოა უმეტესწილადაც, გენდერულ უთანასწორობასთან დაკავშირებულ მონაცემებს და მათი მიზეზების გამორკვევის ანალიზსაც. ისტორიული მოვლენების დოკუმენტირების ინოვაციური მეთოდები, მონაცემებზე ხელმისაწვდომობის ზრდასა და მონაცემთა შეგროვების ახალ მიდგომებთან ერთად, გენდერული უთანასწორობის შესწავლაში ბოლო ათწლეულების განმავლობაში მიღწეული პროგრესის ძირითად განმაპირობებელ ფაქტორებს წარმოადგენს. ეკონომიკის სფეროში ეს ეხება შრომის ბაზრის მაჩვენებლებს, ანაზღაურებასა და შემოსავალს, ქონების დაგროვების შესაძლებლობას, განათლებაში განხორციელებულ ინვესტიციას, პენსიას, აგრეთვე, მოხმარების ტენდენციებს და დროის გადანაწილების მოდელებს – უმეტესად, ზრუნვისა და სახლის საქმეების განაწილებას. მკვლევრებმა შეძლეს პოლიტიკის, კულტურის, კრიმინალის, მართლმსაჯულების სისტემის და აკადემიურ სფეროებში არსებული გენდერული უთანასწორობის ემპირიული შესწავლაც.

ხარისხიანი მონაცემებისა და ინოვაციური მეთოდების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა გენდერულ ეკონომიკაში განხორციელებული ინოვაციური კვლევების, მათ შორის, ნობელის პრემიის ლაურეატ კლაუდია გოლდინის კვლევების, განხორციელება, რომელთა მიზანსაც მონაცემებში არსებული „გენდერული სხვაობის“ აღმოფხვრა წარმოადგენს. ეს ტერმინი კაროლინ კრიადო პერესს ეკუთვნის (კრიადო პერესი, ბესტსელერი „უხილავი ქალები“ 2020). წიგნის შესავალში ის აღნიშნავს, რომ „(...) წარსულის ქრონიკებში, კაცობრიობის ევოლუციის კულტურულ თუ ბიოლოგიურ პროცესში, ფაქტობრივად, ქალებს არ აქვთ ადგილი. ადამიანთა ცხოვრების აღწერაში მხოლოდ კაცების ცხოვრებაა ასახული“ (გვ. XI). სწორედ ქალთა შესახებ არსებული მწირი ინფორმაციის შედეგად ჩნდება მონაცემებში გენდერული სხვაობა, რომელიც ხშირად კიდევ უფრო ღრმავდება არსებულ წყაროებში გენდერული / სქესის ნიშნით დაყოფილი მონაცემების არარსებობის გამო. კვლევებში უკვე გამოვლენილი ასპექტების გათვალისწინებით, გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრა საჭიროებს ფაქტობრივი მონაცემების მუდმივ მონიტორინგს, რაც, უპირველეს ყოვლისა, ხელს შეუწყობს მონაცემებში არსებული გენდერული სხვაობის შემცირებას. ახალი კვლევები კი, რომელთა მიზანსაც გენდერული თანასწორობის ზრდა და სხვადასხვა პოლიტიკის ეფექტიანობა წარმოადგენს, სანდო მონაცემებით იხელმძღვანელებენ. საბედნიეროდ, იშვიათობაა, რომ მონაცემებში არ იყოს აღნიშნული რესპონდენტთა სქესი. მიუხედავად ამისა, რამდენადაც თანდათანობით იზრდება ჩვენი ცოდნა სქესისა და გენდერის ბიოლოგიურ და კულტურულ ასპექტებზე, მით უფრო საჭირო ხდება მონაცემთა შეგროვების მეთოდების მოდიფიკაცია.

მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის პროცესში არსებული გამოწვევებთან გასამკლავებლად, ვფიქრობთ, საჭიროა ვახსენოთ ზოგიერთი ინოვაციური კვლევის ავტორი, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს გენდერული უთანასწორობის შესახებ მნიშვნელოვან მიგნებებს. ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ჩვენ ვიხსენებთ გენდერულ ეკონომიკასთან დაკავშირებულ რამდენიმე ემპირიულ კვლევას, რომლებიც, ვფიქრობთ,

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს გამოყენებულ მონაცემთა შეგროვების ინოვაციური მიდგომების, პირველწყაროდან გამოყენებული მონაცემების ან გამოყენებული ინოვაციური მეთოდოლოგიის გამო. ეს კვლევები გვაძლევს საშუალებას, მოვიპოვოთ მნიშვნელოვანი ინფორმაცია გენდერული უთანასწორობის კონკრეტულ ასპექტებზე. ეს მცირე ჩამონათვალი, ბუნებრივია, სუბიექტური მოსაზრების საფუძველზე შეირჩა, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ჩამოთვლილი თითოეული კვლევა იმსახურებს დაფასებას არა მხოლოდ გენდერული ეკონომიკის მკვლევრების, არამედ გენდერული უთანასწორობის სხვადასხვა ასპექტში მიღწეული პროგრესის სიღრმისეული შესწავლით დაინტერესებულ პირთა მხრიდანაც.

მონაცემებიდან რეკომენდაციებამდე

ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში მკვლევრებმა მნიშვნელოვანი შრომა გასწიეს შრომის ბაზარზე კაცებსა და ქალებს შორის უთანასწორობის **ისტორიული ტენდენციების** ემპირიული მტკიცებულებების მოსაპოვებლად. ამ სფეროში განსაკუთრებით საყურადღებოა კლაუდია გოლდინის ნაშრომები 1970-1980-იან წლებში, რაც გენდერული უთანასწორობის შესახებ ახალი კონცეფციის წიგნის, *„გენდერული უთანასწორობის შესწავლა: ამერიკელი ქალების ეკონომიკური ისტორიის“ (გოლდინი, 1990)* გამოქვეყნებით დასრულდა. წიგნმა ძირეულად შეცვალა შეხედულება შრომის ბაზარზე ქალის როლის შესახებ. გოლდინი ემპირიულად გვიჩვენებს, რომ ქალთა მონაწილეობა სამუშაო ძალაში უფრო მაღალი იყო, ვიდრე ისტორიულად გაბატონებული მოსაზრება მოგვითხრობდა. გოლდინამდე მკვლევრები, ძირითადად, XX საუკუნის მონაცემებს იკვლევდნენ. ამის საფუძველზე შეიქმნა მოსაზრება, რომ ქალთა მონაწილეობა შრომის ბაზარზე დადებით კორელაციაში იყო ეკონომიკურ ზრდასთან. ამის საპირისპიროდ, გოლდინის კვლევებმა აჩვენა, რომ ინდუსტრიალიზაციამდე ქალები უფრო აქტიურად იყვნენ ჩართული სამუშაო ძალაში, საამქროების შემდგომმა გაფართოებამ კი ქალებს უფრო გაურთულა სამსახურისა და ოჯახური საქმიანობების შეთავსება. მთელი 200 წლის განმავლობაში, ინდუსტრიალიზაციამდე და დღემდე, ქალთა შრომის ბაზარზე ჩართულობის მაჩვენებელი, ფაქტობრივად, U-ფორმისაა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ სხვადასხვა სოციალური ცვლილება სხვადასხვაგვარად მოქმედებს ქალების მუშაობის სტიმულებსა და შესაძლებლობებზე. თუმცა გოლდინის წვლილი არ შემოიფარგლება მხოლოდ სწორი ემპირიული სურათის წარმოჩენით. არანაკლებ მნიშვნელოვანია ქალების, როგორც ინდივიდუალური ეკონომიკური აგენტების, აღიარება, რომლებიც იღებენ გადაწყვეტილებებს სხვადასხვა ინსტიტუციური სირთულისა და შეზღუდვის პირობებში, რომლებიც დაკავშირებულია იდენტობისა და ოჯახის შესახებ დამკვიდრებულ სოციალურ ნორმებთან, ასევე, განათლების მიღებისა და შრომის ბაზარზე წარმომადგენლობის შესაძლებლობებთან. კვლევებში მოდელირებული ზოგიერთი გადაწყვეტილება შესაძლოა ჩაითვალოს „ეკონომიკური აგენტი კაცის“ მიერ მიღებულად, ხოლო სხვა დანარჩენი – შინამეურნეობების მიერ მიღებულად, გასაკვირია, რომ ქალების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესწავლას ყურადღება არ ეთმობოდა.

ისტორიული ტენდენციების მიღმა ინსტიტუციური, კულტურული და ეკონომიკური ფაქტორები გახდა გენდერული უთანასწორობის გამომწვევი მიზეზების შესწავლასთან დაკავშირებული ლიტერატურის დიდი ნაწილის შექმნის საფუძველი. ზოგიერთ ნაშრომში „შემთხვევითობის“ ფაქტორი განხილულია გარკვეულ გენდერთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების განმაპირობებელ ერთ-ერთ მიზეზად. ეს ჰგავს პირველი შვილის (მაგ., Dahl and Moretti, 2008) ან ტყუპების შეძენას (Angrist and

Evans, 1998). ორივე მათგანი შესაძლოა შემთხვევითობად ჩაითვალოს, თუმცა ორივე სხვადასხვა ზეგავლენას ახდენს პარტნიორობასთან, მომავალში შვილის ყოლასა და შრომის ბაზართან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაზე. სხვა ავტორები იკვლევენ ისტორიული მოვლენებით განპირობებული გენდერული უთანასწორობის გავლენას. ბრეინერდი (Brainerd, 2017) იკვლევს სქესთა უკიდურესად დაუბალანსებელ თანაფარდობას კოჰორტებში, განსაკუთრებით, სადაც ადგილი ჰქონდა მასობრივ სიკვდილიანობას საბჭოთა კავშირში, მეორე მსოფლიო ომის პერიოდში. ომის შემდეგ მოსახლეობის პირველი აღწერის უნიკალურ ისტორიულ მონაცემებზე დაყრდნობით და არქივებიდან მოპოვებული სტატისტიკური ჩანაწერების შესწავლით, ბრეინარდი წარმოგვიდგენს მტკიცებულებებს, რომ ომის შედეგად კაცების რაოდენობის შემცირებამ მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონია ქალებზე, ქორწინებასთან დაკავშირებით: ქალები უმეტესწილად არ ქორწინდებოდნენ, არ აჩენდნენ ბავშვებს, ხშირი იყო განქორწინება. გარდა ამისა, არათანაბარმა გენდერულმა გადანაწილებამ გავლენა იქონია დაქორწინებული ქალების როლზე ოჯახის შიგნით მიღებულ გადაწყვეტილებებზე, რამაც გამოიწვია შობადობის შემცირება და ისეთი ქორწინებების რაოდენობის ზრდა, სადაც წყვილებს შორის დიდი იყო ასაკობრივი სხვაობა. ომისშემდგომმა ინსტიტუციონალურმა წყობამ გამოიწვია განქორწინების ხარჯის ზრდა, ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვებისათვის ფინანსური დახმარების ვალდებულების გაუქმება, რამაც კიდევ უფრო გააღრმავა კაცების ნაკლებობით გამოწვეული შედეგები, კიდევ უფრო შეამცირა რეგისტრირებულ ქორწინებათა რაოდენობა და გაზარდა ოჯახური არასტაბილურობა.

ზემოთ ჩამოთვლილი მაგალითები ხაზს უსვამს, თუ როგორ შეიძლება გარემოებებმა, რომლებიც არ ექვემდებარება ადამიანთა კონტროლს, ხელი შეუწყოს გენდერულ უთანასწორობას და გენდერული სტერეოტიპების გაღრმავებას. იმაზე, თუ როგორ გარდაიქმნება ამგვარი ეგზოგენური გარემოებები ეკონომიკურ უთანასწორობად და რა დამატებითი ფაქტორები განაპირობებს გენდერულ უთანასწორობას, ყურადღება გამახვილებულია გენდერულ უთანასწორობის არაერთ კვლევაში. ერთ-ერთი ყველაზე დიდი სირთულე იმის წარმოჩენაა, რომ გენდერული ნიშნით ეკონომიკური უთანასწორობის მიღმა ქალების გარკვეული მახასიათებლები ან არჩევანი კი არ დგას, არამედ – მათი დისკრიმინაცია. ამ საკითხთან დაკავშირებით, ბლექი და სტრაჰანი (2001) მნიშვნელოვან მოსაზრებებს გვთავაზობენ აშშ-ის საბანკო სექტორში განხორციელებულ რეგულაციურ ცვლილებებზე დაყრდნობით. ბანკებს შორის მზარდმა კონკურენციამ შეამცირა ბანკების მოგება და ხელმძღვანელების მიერ „ნადავლის განაწილების“ შესაძლებლობა, და შესაბამისად, თანამშრომლთა სხვადასხვა ტიპის გამორჩევის შესაძლებლობაც. სხვადასხვა ინდუსტრიაში (მათ შორის, საბანკო სფეროში) არსებულ ანაზღაურებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მისაღებად ავტორებმა გამოიყენეს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ხანგრძლივი ისტორიის მქონე კვლევა – აშშ-ის მოსახლეობის მიმდინარე გამოკითხვა (CPS). რამდენიმე დეკადის მონაცემების დეტალური კვლევის შემდეგ ავტორებმა აღმოაჩინეს, რომ საბანკო სექტორში რეგულირების მაღალ დონეზე (დერეგულირებამდე) ხდებოდა კაცებისათვის ქალებთან შედარებით უფრო მაღალი ანაზღაურების გადახდის წახალისება. ამგვარად, საბანკო სექტორში კონკურენციის ზრდამ დადებით ცვლილებებს ჩაუყარა საფუძველი ქალთა ანაზღაურების კუთხით, დადებითი ცვლილებები შეეხო ქალთა წარმომადგენლობას ხელმძღვანელ პოზიციებზეც.

იმ დროს, როდესაც CPS-ის მსგავსი გრძელვადიანი კვლევები კვლავ წარმოადგენს ფასდაუდებელ ინფორმაციის წყაროს ქალებისა და კაცების მდგომარეობის შესადარებლად, ადმინისტრაციულ მონაცემებზე გაზრდილმა ხელმისაწვდომობამ ახალი შესაძლებლობები წარმოშვა უთანასწორობის წარმოსაჩენად და მათი გამომწვევი მიზეზების გამოსავლენად. მაგ., ადამიანების სრული შრომითი ბიოგრაფიის კონტროლის შესაძლებლობამ პირველი ბავშვის დაბადებამდე და მას შემდეგ, შესაძლებელი გახადა ქალებისა და კაცების შემოსავლის ზრდის დინამიკის, ხელფასისა და სამუშაო დროის შედარება. ამ შედარებამ გამოავლინა ე.წ. „ბავშვის ჯარიმა“, როდესაც პირველი შვილის გაჩენის შემდეგ ქალთა პოზიცია შრომის ბაზარზე უარესდება მამრობითი სქესის პარტნიორებთან შედარებით და ეს უთანასწორობა წლების განმავლობაში გრძელდება. გამაოგნებელია, რომ ეს მოვლენა გამოვლინდა მსოფლიოში ყველაზე მაღალი გენდერული თანასწორობის მქონე ქვეყნებში: შვედეთსა (Angelov et al., 2016) და დანიაში (Kleven et al., 2019), რომლებიც იყვნენ ადმინისტრაციული მონაცემების შეგროვების, გაღრმავებისა და მკლევრებისათვის მათზე ხელმისაწვდომობის გაზრდის ინიციატორები.

კიდევ ერთი სფერო, სადაც ინდივიდუალური რეესტრების მონაცემები ფასდაუდებელი აღმოჩნდა, არის ე.წ. „შუშის ჭერის“ შესწავლა, ანუ მკვეთრად მზარდი განსხვავებები კაცთა და ქალთა შორის შრომის ანაზღაურების, მაღალ პოზიციებზე წარმომადგენლობისა და შემოსავლის განაწილების საკითხებში. ალბრეხტიდა და თანავტორთა (Albrecht et al. (2003) ერთ-ერთი გარდამტეხი კვლევის თანახმად, სადაც შედარებულია ქალებისა და კაცების ინდივიდუალური შემოსავლები, აღმოჩნდა, რომ (გარდა იმისა, რომ კაცების შემოსავალი გაცილებით მეტია, ზოგადად) მაღალ პოზიციებზე დასაქმებულ ქალთა და კაცთა შემოსავლებს შორის განსხვავება გაცილებით დიდია. ასევე, შვედეთის რეესტრის მონაცემებზე დაყრდნობით, ბოსკინიმ და თანავტორებმა (Boschini et al., 2020) შეისწავლეს ქალების წარმომადგენლობის მაჩვენებლის ევოლუცია მაღალანაზღაურებად პოზიციებზე. „შუშის ჭერის“ შემსწავლელი სხვა სამეცნიერო ნაშრომების მსგავსად, ავტორები აჩვენებენ, რომ რაც უფრო მაღალია სამსახურებრივი პოზიცია, მით უფრო მცირდება ქალების წარმომადგენლობა. თუმცა ეს მაჩვენებელი გაიზარდა დროთა განმავლობაში. შემოსავლის დაყოფა შრომის და კაპიტალთან დაკავშირებული ოპერაციების შედეგად მიღებულ შემოსავლად, გვიჩვენებს, რომ მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ჩანს, ქალების შრომითი შემოსავალი უახლოვდება კაცების შემოსავალს, კაპიტალთან დაკავშირებული ოპერაციების შედეგად მიღებულ შემოსავლის ჭრილში ქალები კვლავ ჩამორჩებიან კაცებს. ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდება მაღალშემოსავლიანი ქალებისა და კაცების პარტნიორების შემოსავალიც. როგორც წესი, მაღალი შემოსავლის მქონე ქალების უმრავლესობას, მაღალი შემოსავლის მქონე პარტნიორი ჰყავს, როცა მაღალი შემოსავლის მქონე კაცების შემთხვევაში, ეს ასე არ არის.

ზემოთ ჩამოთვლილ მაგალითებში ასახული ქალთა და კაცთა შორის არსებული ეკონომიკური განსხვავებები შესაძლებელია გაცილებით ადრე წარმოიშვას, სანამ ადამიანები შეაბიჯებენ შრომის ბაზარზე. აღნიშნული განსხვავებები შესაძლებელია განპირობებული იყოს სასკოლო განათლებასთან დაკავშირებული განსხვავებებით, აგრეთვე, ცხოვრების ადრეულ ეტაპზე განხორციელებული სხვადასხვაგვარი ინვესტიციით. ამგვარად, მრავალი რამ, რაც მოზრდილ ასაკში ადამიანის მიერ უპირატესობის მინიჭებად ან არჩევნად ითვლება, სინამდვილეში ქალებისათვის ადრეულ ასაკში არსებული არახელსაყრელი პირობებითაა განპირობებული. მიუხედავად იმისა, რომ ჩრდილოეთის ქვეყნებში ეს განსხვავება მნიშვნელოვნად შემცირებულია,

იზრდება იმ კვლევების რაოდენობა, რომლებიც სამხრეთის ქვეყნებში ამგვარ განსხვავებებს წარმოაჩენს. ჯაიაჩანდრანმა და პანდემ (Jayachandran and Pande, 2017) შეისწავლეს გოგონებთან შედარებით ვაჟებისათვის უპირატესობის მინიჭებით გამოწვეული ზეგავლენა ბავშვის ჯანმრთელობასა და განვითარებაზე მსგავსი კულტურის მქონე ქვეყნებში (მაგ., ინდოეთში). კვლევაში განხილულია ყველაზე მარტივი, სტანდარტიზებული და ფართოდ ხელმისაწვდომი მაჩვენებელი – ბავშვების სიმაღლე, რომელიც იზომება გეგმიური სამედიცინო შემოწმებებისას და წარმოადგენს მოსახლეობის მრავალი გამოკვლევის შემადგენელ ნაწილს, როგორებიცაა დემოგრაფიული და ჯანდაცვითი კვლევები. გარდა ამისა, ავტორების მიერ გამოყენებული ბუნებრივი ექსპერიმენტი, რომელიც ეფუძნება ბავშვების დაბადების რიგითობის განხილვას, გვეხმარება გამოვიკვლიოთ მიზეზ-შედეგობრივი კავშირი უფროსი ვაჟისათვის უპირატესობის მინიჭებასა და კვებასთან დაკავშირებულ უთანასწორობას შორის, რომელსაც ხანგრძლივი ზეგავლენა აქვს ყოველი მომდევნო შვილის განვითარებაზე, არამარტო გოგონების, არამედ, ზოგადად, ინდოეთში დაბადებული ბავშვების შემთხვევაში. მსგავსი დასკვნები ხაზს უსვამს გენდერული თანასწორობის მნიშვნელობას არა როგორც მხოლოდ ფუნდამენტურ ღირებულებას, არამედ როგორც საზოგადოების ზრდისა და განვითარებისათვის გადამწყვეტ ფაქტორს.

გენდერული უთანასწორობით გამოწვეულმა დიდმა სოციალურმა ზიანმა წარმოშვა ინტერესი გენდერული ნიშნით ძალადობისა და გენდერული ნიშნით ჩადენილი დანაშაულების კვლევის მიმართულებით. ამ საკითხებთან დაკავშირებული კონკრეტული გამოწვევების – ასეთი ტიპის ქმედებების დამალვისა და საიდუმლოდ შენახვის – გათვალისწინებით, ასევე, მსხვერპლთა კონფიდენციალობისა და უსაფრთხოების დაცვის საჭიროების გამო, ამ სფეროში ჩატარებული კვლევები მკვლევრებისგან მოითხოვდა მონაცემთა შეგროვების ინოვაციური მეთოდებისა და ტექნიკების გამოყენებას. ამ მხრივ, ე.წ. ჩამონათვალის ფორმატის ექსპერიმენტები (List Experiment) იქცა მეთოდად, რომელიც საშუალებას აძლევდა რესპონდენტებს ფარულად გაემჟღავნებინათ სენსიტიური საკითხები, ან საკითხები, რომელთა საჯაროდ გამხელაც არ სურდათ, რაც, თავის მხრივ, ამცირებდა ამ ნიშნით სტატისტიკური გადახრის არსებობას გამოკითხვის ჩატარების დროს. ჩამონათვალის ფორმატის ექსპერიმენტებში, რესპოდენტებს წარედგინებათ რამდენიმე დებულება ან ქცევის მაგალითი, ხოლო მათ უნდა გამოხატონ თავიანთი პოზიციები მათთან დაკავშირებით. ჩამოთვლილ დებულებებს შორის ერთ-ერთი არის „სენსიტიური“ საკითხი, რომელიც წარედგინება შემთხვევითობის პრინციპით შერჩეულ რესპონდენტთა ნაწილს. შემდეგ ხდება იმ დებულებების საშუალო მნიშვნელობების შედარება, რომლებსაც ყველა რესპონდენტი დაეთანხმა იმ შერჩეულ რესპონდენტთა ჯგუფიდან, რომელთა კითხვარშიც არ შესულა „სენსიტიური“ საკითხი. მიღებულ შედეგზე დაყრდნობით კი მკვლევრებს შეუძლიათ განსაზღვრონ იმ რესპოდენტთა წილი, რომლებიც დაეთანხმენ სენსიტიურ საკითხს ან მოსაზრებას. ამ დარგში დიდი წვლილი შეიტანა კულკინსიმ და თანაავტორებმა (Kuklinski et al., 1997), რომლებმაც გამოთვალეს იმ რესპონდენტთა პროპორცია, რომლებიც აწყდებოდნენ რასობრივ დისკრიმინაციას, მაგრამ არ სურდათ საჯაროდ ამის აღიარება. მას შემდეგ ჩამონათვალის ფორმატის ექსპერიმენტები ფართოდ გამოიყენებოდა პოლიტიკურ მეცნიერებებსა და ეკონომიკაში, რამაც ხელი შეუწყო ცნობიერების ამაღლებას გენდერული ნიშნით ძალადობასთან დაკავშირებით (Peterman et al., 2018). იმის გამო, რომ აღნიშნული მეთოდი ძირითადად მკაცრ

დაშვებებს ეფუძნებოდა, იგი არ იქცა „სტატისტიკური ჭეშმარიტების ელექსირად“, როგორც ეს ადრე მიაჩნდათ, თუმცა ჩამონათვალის ფორმატის ექსპერიმენტებმა გაზარდა ანალიტიკური შესაძლებლობები იმ სფეროებში, რომელშიც ინფორმაციის მოპოვებასა და მონაცემებთან დაკავშირებული გამოწვევების წინაშე იდგნენ.

მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოში გენდერული უთანასწორობა ეკონომიკური შესაძლებლობების კუთხით, განსაკუთრებით განათლებისა და ჯანდაცვის სფეროში, სწრაფად შემცირდა (და ზოგჯერ საპირისპირო ხასიათიც კი მიიღო) ბოლო ათწლეულების განმავლობაში უფრო დიდი უთანასწორობა შეინიშნება პოლიტიკური უფლებების საკითხში (იხ. მაგ., WEF Gender Gap Report 2023). კიდევ ერთი ნობელის პრემიის ლაურეატი ეკონომისტი, ესთერ დუფლო, რაღაბენდრა ჩატოპაჰიაისთან (2004) ერთობლივი ნამუშევრით იყო ერთ-ერთი მათგანი, ვინც პირველმა დაიწყო პოლიტიკის ფორმირების პროცესზე ქალების ზეგავლენის კვლევა. კვლევა ეფუძნებოდა ინდოეთში ჩატარებულ უნიკალურ პოლიტიკურ ექსპერიმენტს, რომლის ფარგლებშიც ხდებოდა სოფლის საბჭოების ლიდერთა სქესისა და მონაცემთა ბაზის რენდომიზაცია, რომელიც ეფუძნებოდა სიღრმისეულ გამოკითხვებს, და რომლებსაც მართავდა როგორც სოფლის საბჭო, ისე სოფლის მოსახლეობა. კვლევების წყალობით შესაძლებელი გახდა სოფლის 265 საბჭოში სხვადასხვა საზოგადოებრივ საქონელში ინვესტიციების შეფასება, აგრეთვე, სოფლის ქალი და კაცი მაცხოვრებლების პრეფერენციების შესწავლა ზემოხსენებულ საზოგადოებრივ საქონელთან მიმართებით. რანდომიზაციისა და ამ სიღმისეული მონაცემთა ბაზის კომბინაციით, ავტორებმა დაადგინეს, რომ პოლიტიკური ლიდერები პრიორიტეტს ანიჭებდნენ იმ ტიპის საზოგადოებრივ საქონელს, რომელიც უფრო მეტად შეესაბამებოდა მათ გენდერულ საჭიროებებს. შედეგად, კვლევამ ივარაუდა, რომ პოლიტიკაში ქალების დაბალი წარმომადგენლობა იწვევს იმას, რომ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებში ქალებისა და კაცების ინტერესები არ არის თანაბრად წარმოდგენილი.

შეჯამება და რეკომენდაციები

გენდერული უთანასწორობის შემცირება პოლიტიკური წარმომადგენლობის სხვადასხვა დონეზე, ქალთა გავლენის ზრდა ისეთ სფეროებში, როგორიცაა საჯარო ინსტიტუტები, ადმინისტრაცია და სხვ. და გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლება, გადამწყვეტი მნიშვნელობისაა სოციო-ეკონომიკური პროგრესისათვის. ყოველივე ეს კი ხელს უწყობს გენდერული ნიშნით დაყოფილ ხარისხიან მონაცემებზე წვდომის ზრდას. მანამ, სანამ შევძლებთ ხარისხიანი მონაცემების საფუძველზე გამოვლენილი გენდერული უთანასწორობის პრობლემის აღმოფხვრას, საჭიროა აღმოვფხვრათ გენდერული სხვაობა თავად მონაცემებში. მთავრობებმა და საჯარო დაწესებულებებმა დიდი რაოდენობის ციფრული მონაცემები უნდა გახადონ ხელმისაწვდომი კვლევის მიზნებისათვის. აგრეთვე, აუცილებელია გამოკითხვების მეშვეობით მონაცემთა შეგროვების პროცესის დაფინანსება. აღნიშნული მონაცემები კი შესაძლოა გაერთიანდეს ადმინისტრაციულ წყაროებში არსებულ ინფორმაციასთან, რათა ავითვისოთ გამოკითხვის სრული არეალი და გამოვიყენოთ სანდო ოფიციალური სტატისტიკა. აუცილებელია მონაცემები შეგროვდეს ხშირად, რათა დავრწმუნდეთ, რომ მონაცემებში შესაძლებელია სხვადასხვა ძირითადი განვითარების შედეგების იდენტიფიცირება, როგორიცაა: სამართლებრივი ცვლილებები, კონფლიქტები ან სტიქიური უბედურებები. მონაცემთა ინოვაციური წყაროები, მაგ., მობილური აპლიკაციების ან სოციალური მედიის მეშვეობით მიღებული ინფორმაცია დამატებით სარგებლის მომტანია სოციალურ-

ეკონომიკური ტენდენციების, უთანასწორობის ძველი და ახალი განზომილებების და გენდერული უთანასწორობის სხვადასხვა მიმართულებით არსებული სიახლეების შესწავლისათვის. მონაცემთა ეს ახალი წყაროები შეიძლება გახდეს გენდერული უთანასწორობის შესახებ მომავალი ინოვაციური კვლევების საფუძველი, რაც ხელს შეუწყობს უთანასწორობის გამომწვევი მიზეზების უკეთ გააზრებას და გახდება სახელმძღვანელო გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრის მიზნით პოლიტიკის შემუშავების და სხვა ნაბიჯების გადადგმის პროცესში. ამ ეტაპზე უკვე არსებობს საკმარისი მტკიცებულება, რათა დავასკვნათ, რომ აღნიშნული უთანასწორობის აღმოფხვრა არამარტო სამართლიანია, არამედ შემდგომი ინკლუზიური ეკონომიკური განვითარების წინაპირობაა.

პოსტ სკრიპტუმ

მოხარული ვართ, ჩვენი წვლილი შევიტანოთ მონაცემთა წყაროებში და გაგიზიაროთ მონაცემთა რეგიონული ბაზა, რომელშიც თავმოყრილია ინფორმაცია გენდერულ ნორმებსა და გენდერული ნიშნით ჩადენილ ძალადობასთან დაკავშირებით: FROGEE Survey 2021. მონაცემები შეგროვდა CATI მეთოდით (სატელეფონო ინტერვიუები) 2021 წლის შემოდგომაზე ბელარუსში, საქართველოში, ლატვიაში, პოლონეთში, რუსეთში, შვედეთსა და უკრაინაში. თითოეულ ქვეყანაში გამოიკითხა 925-დან 1000-მდე ზრდასრული პირი. კვლევა მოიცავდა შემდეგ სფეროებს: ძირითადი დემოგრაფია, მატერიალური პირობები, პოზიცია შრომის ბაზარზე, გენდერული ნორმები, დამოკიდებულება შევიწროვებისა და ძალადობის მიმართ, ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ ცნობიერების დონე და ინფორმირებულობის მაჩვენებელი გენდერული ძალადობის მსხვერპლთა სამართლებრივი დაცვის შესახებ.

მონაცემთა შეგროვების პროცესი დაფინანსდა შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SIDA) პროექტის, FREE Network FROGEE-ის ფარგლებში. მონაცემთა ბაზა და დამხმარე მასალები ხელმისაწვდომია კვლევის მიზნებისათვის. დამატებითი ინფორმაციის სანახავად იხ. FROGEE Survey on Gender Equality.

პამელა კამპა

სტოკჰოლმის გარდამავალი ეკონომიკების ინსტიტუტი
pamela.campa@hhs.se
https://www.hhs.se/sv/persons/c/campapamela/

პამელა კამპა არის ეკონომიკის ასოცირებული პროფესორი სტოკჰოლმის ეკონომიკის სკოლის გარდამავალი ეკონომიკების ინსტიტუტში (SITE). მანამდე ის იყო კალგარის უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი. პამელა სტოკჰოლმის უნივერსიტეტის საერთაშორისო ეკონომიკური კვლევების ინსტიტუტის (IIES) ეკონომიკის დოქტორია. ის არის ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის (CEPR), მისტრას მდგრადი ბაზრების ცენტრისა (MISUM) და დონდენას გენდერის ინიციატივის მკვლევარი.

მისი კვლევითი ინტერესებია პოლიტიკური ეკონომიკა, გარემოსდაცვითი ეკონომიკა და გენდერული ეკონომიკა.

მიხალ მიკი

ეკონომიკური ანალიზის ცენტრი (CenEA)
mmyck@cenea.org.pl
www.cenea.org.pl

მიხალ მიკი ეკონომიკური ანალიზის ცენტრის (CenEA) დირექტორია. მანამდე ის მუშაობდა ფისკალური კვლევების ინსტიტუტში ლონდონში და DIW-ბერლინში. მიხალი ოქსფორდის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ბაკალავრი და მაგისტრი (PPE – 1997, ეკონომიკა – 1999) და ვარშავის უნივერსიტეტის ეკონომიკის დოქტორია (2006), ჰაბილიტაცია კი დაასრულა ბერლინის თავისუფალ უნივერსიტეტში (2015). მის ნაშრომებში ძირითადი ყურადღება ეთმობა შრომისა და ჯანდაცვის ეკონომიკას, აგრეთვე, გამოყენებით ეკონომიკას.

მონიკა ოჩკოვსკა

ეკონომიკური ანალიზის ცენტრი (CenEA)
moczkowska@cenea.org.pl
www.cenea.org.pl

მონიკა ოჩკოვსკა 2012 წლიდან CenEA-ს უფროსი მკვლევარი ეკონომისტია. იგი შჩეცინის უნივერსიტეტის ეკონომიკის ბაკალავრი (2010) და მაგისტრია (2012), ასევე ფლობს შჩეცინის

უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის ხარისხს (2011).

მისი კვლევითი ინტერესები მოიცავს დაბერების, კეთილდღეობის, გენდერულ და ჯანდაცვის ეკონომიკას.

მარია პეროტა ბერლინი

სტოკჰოლმის გარდამავალი ეკონომიკების ინსტიტუტი maria.perrotta@hhs.se
https://www.hhs.se/en/persons/p/perrottaberlin-maria/

მარია პეროტა ბერლინი არის სტოკჰოლმის გარდამავალი ეკონომიკების ინსტიტუტის (SITE) ასისტენტ პროფესორი და პოლიტიკისა და კომუნიკაციის მენეჯერი. მარია სტოკჰოლმის უნივერსიტეტის საერთაშორისო ეკონომიკური კვლევების ინსტიტუტის (IIES) დოქტორია. მისი მთავარი კვლევითი ინტერესებია განვითარება და პოლიტიკური ეკონომიკა, აქცენტით გენდერულ საკითხებსა და გარემოსდაცვით პოლიტიკაზე.

იესპერ როინი

სტოკჰოლმის გარდამავალი ეკონომიკების ინსტიტუტი
jesper.roine@hhs.se
https://www.hhs.se/sv/persons/r/roine-jesper

იესპერ როინი არის სტოკჰოლმის ეკონომიკის სკოლის პროფესორი და სტოკჰოლმის გარდამავალი ეკონომიკების ინსტიტუტის (SITE) დირექტორის მოადგილე. მისი კვლევების უმეტესობა ეხება შემოსავლისა და სიმდიდრის გადანაწილებას და გრძელვადიან განვითარებას. იგი მუშაობდა პოლიტიკური ეკონომიკისა და ეკონომიკაზე არსებული ბუნებრივი ზეგავლენის საკითხებზეც.

კვლევითი საქმიანობის გარდა, იგი აქტიურად მონაწილეობს პოლიტიკურ დებატებში. ის არის ეკონომიკური ბლოგის ekonomistas.se (შვედურ ენაზე) ერთ-ერთი დამფუძნებელი და ხშირი ავტორი. მან დაწერა მრავალი მოხსენება ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: გლობალიზაცია და შემოსავლების განაწილება, შვედეთის სახელმწიფოს კეთილდღეობის მომავალი, როგორ უნდა მართოს შვედეთის მთავრობამ თავისი მინერალური რესურსები. ის ამჟამად არის სამომავლო სამუშაოების სამთავრობო კომისიის წევრი.

freepolicybriefs.com

The Forum for Research on Eastern Europe and Emerging Economies (FREE) is a network of academic experts on economic issues in Eastern Europe and the former Soviet Union at BEROC (Minsk), BICEPS (Riga), CEFIR (Moscow), CenEA (Szczecin), ISET-PI (Tbilisi), KSE (Kiev) and SITE (Stockholm). In 2019 the FREE Network, with support of the Swedish International Development Cooperation Agency (Sida) initiated the Forum for Research on Gender Economics (FROGEE). Publications under the FROGEE initiative contribute to the discussion on gender inequality in the region of Central and Eastern Europe. Opinions expressed in all FREE Network publications are those of the authors; they do not necessarily reflect those of the FREE Network, its research institutes or Sida.